ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1968

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲚᲘ • № 236 (14232)

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ რწმენას გამოთქვამს, რომ კომკავშირელები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა სულითა და გულით ალიქვამენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ეგებებიან სრულიად საკავშირო ალკა იუბილესა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, კიდევ უფრო აამაღლებენ თავის შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო, თავდადებულად იშრომებენ კომუნიზმის საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

50

სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

1968 ᲬᲚᲘᲡ 29 ოქტომბერს სრულდება სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი. სრულიად საკავშირო ალკკ ნახევარი საუკუნის იუბილე დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომკავშირელთა, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსშესანიშნავი დღესასწაულია.

ლენინური კომკავშირის გმირული გზა განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორიასთან, მუშათა კლასის, საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ყოველთვის მიჰყვებოდა და მიჰყვება კომუნისტურ პარტიას, იგი მიაჩნია თავის ბელადად და მასწავლებლად. პარტიამ შეიმუშავა ახალგაზრდობის მოძრაობის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები, გამოვიდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზატორად. ახალი საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის როლის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი თეორიული დოკუმენტი, მოზარდ თაობათა კომუნისტური აღზრდის პროგრამა იყო ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე „ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები“. კომუნისტურმა პარტიამ, სოციალისტურმა წყობილებამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაწყვიტეს ახალგაზრდობის ბევრი ძირეული პრობლემა, ფართო გზა გაუხსნეს მას ცხოვრებაში, შექმნეს შემოქმედებითი შრომის, განათლების, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობანი.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე კომკავშირი გამოვიდა როგორც საბჭოთა საზოგადოების აქტიური რევოლუციური, შემოქმედებითი ძალა, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა მომზადების სკოლა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ლენგეხდარული და დაუვიწყარია კომკავშირელთა საგმირო საქმენი, რომლებიც ანადგურებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს სამოქალაქო ომის წლებში. ასიათასობით ახალგაზრდა პატრიოტის სახელს უკავშირდება ხალხთა მეხსიერებაში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. პირველი ხუთწლედები, კულტურის განვითარება. იმ წლების სიმბოლო გახდა დნეპრჰესი და მაგნიტკა, ამურის კომსომოლსკი, კუზბასი და თურქესტან-ციმბირის გზა. უკვდავია ლენინური კომკავშირის აღზრდილთა — დიდი სამამულო ომის გმირთა სახელი, რომლებმაც მკერდით დაიცვეს სამშობლო ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. და ყველა, ვინც აქტიურად იბრძოდა კომკავშირის რიგებში, დიდი გულთბილობით იგონებს თავის საბრძოლო და შრომითი ახალგაზრდობის წლებს.

საბჭოთა ახალგაზრდობას ბევრი რამ აქვს საამაყო. რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო საგმირო საქმენი, დედებისა და მამების მდიდარი გამოცდილება მიაჩნია მას მკაფიო მისაბაძ მაგალითად. ქალიშვილები და ჭაბუკები იცავენ და ავითარებენ უფროს თაობათა ტრადიციებს, მთელ ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ითვისებენ ყამირ მიწებს, აშენებენ ახალ ქალაქებსა და შახტებს, ბრძმედებსა და ჰიდროელექტროსადგურებს, გაჰყავთ ფოლადის მაგისტრალები, ითვისებენ ციმბირის, ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეებს. ახალგაზრდობა ბეჯითად სწავლობს თანამედროვე ცოდნის საფუძვლებს, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს, აქტიურად უწყობს ხელს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. შეიარაღებული ძალების რიგებში ახალგაზრდა მეომრები გულმოდგინედ ეუფლებიან უახლეს იარაღსა და ტექნიკას, სიამეყოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს წმიდათა წმიდა საზღვრებს, ღირსეულად და პირნათლად, თავდაჭერილად და მამაცურად ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობებს. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა მხურვალედ უჭერს მხარს პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. ასიათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი არჩეულია მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, მუშაობს კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ორმოცდაათი წლის მანძილზე კომკავშირის რიგებში იდეურად გამოიწრთო ას მილიონამდე კაცი, მილიონობით მისი აღზრდილი მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. სრულიად საკავშირო ალკკ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობა, მისი წვლილი ჩვენი სამშობლოს დიად მიღწევაში ღირსეულად აღინიშნა საბჭოთა კავშირის ხუთი ორდენით.

დღეს სრულიად საკავშირო ალკკ — ახალგაზრდობის მებრძოლი ავანგარდი — აერთიანებს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს 23 მილიონზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს. პრაქტიკულად ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლებელსა და სამეცნიერო ცენტრში მოქმედებს კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზებული რაზმი. ლენინური კომკავშირი იდეურად და ორგანიზაციულად პარტიის გარშემო რაზმავს ახალგაზრდობის ფართო მასებს, ხელს უწყობს მათს ჩაბმას კომუნისტურ მშენებლობაში. მის საქმიანობაში საერთო სახალხო ინტერესებისათვის ბრძოლა ორგანულადაა შერწყმული ქალიშვილთა და ჭაბუკთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. სრულიად საკავშირო ალკკ არა მარტო კავშირის წევრთა, არამედ მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორი და ბელადია. იგი აქტიურ პროპაგანდას უწევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ახალგაზრდობაში, რაზმავს მას საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების აშენებისათვის, ეხმარება ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ცოდნის დაუფლებაში, პროფესიის შეძენაში, აწყობს მათს დასვენებას, აბამს ფიზკულტურასა და სპორტში.

ლენინურ კომკავშირს მაღლა უჭირავს პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის დროშა, გამოდის როგორც ახალგაზრდობის საერთაშორისო რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის მებრძოლი რაზმი. სრულიად საკავშირო ალკკ განუწყვეტლივ აფართოებს და განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის მოძმე კავშირებთან, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებთან, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ახალგაზრდა მებრძოლებთან.

კომუნიზმის იდეებისადმი, პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულებით, ინიციატივითა და დაუშრეტელი ენერგიით სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში კომკავშირმა მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემა მოიხვეჭა.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად წყდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების ამოცანები, პარტიული ორგანიზაციების, ლენინური კომკავშირის, პროფკავშირების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, შემოქმედებითი ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე დგება ახალგაზრდა თაობის აღზრდის პასუხსაგები ამოცანები. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა მოწოდებული არიან კვლავაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, სოციალისტური საზოგადოების, ტექნიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ნათლად უნდა შეიგნონ, რომ კომუნიზმის მშენებლობა შეუძლებელია, თუ არ ექნება მტკიცე მარქსისტულ-ლენინური წრთობა, თუ პრაქტიკულად არ იბრძოლებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, ფოლადის, ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის, მანქანების, პურის, ხორცის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. ახლა, ისევე როგორც წინათ, უტყუარი კომპასი უნდა იყოს დიდი ლენინის ის მითითება, რომ „...ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდა საერთო შრომის ამა თუ იმ ამოცანას, თუნდაც უმცირესს, თუნდაც უმარტივესს“.

სოციალისტური სინამდვილე, პარტიის, სახელმწიფოს, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მრავალმხრივი მუშაობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე, განსაზღვრავს მის მაღალ პოლიტიკურ და მორალურ თვისებებს. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალიშვილთა და ჭაბუკთა მსოფლმხედველობა ყალიბდება ისეთ ვითარებაში, როცა მკვეთრად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. იმპერიალისტური სახელმწიფოები გააფთრებულ იდეოლოგიურ ომს აწარმოებენ სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სოციალიზმს შიგნიდან, დაასუსტონ კომუნისტური და მუშათა პარტიების, ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ერთობა. ამასთან ისინი მთავარ იმედს ამყარებენ ახალგაზრდობის იდეურ განიარაღებაზე, ცდილობენ შეასუსტონ მისი რევოლუციური ენთუზიაზმი, მოადუნონ კლასობრივი თვითშეგნება, დაუპირისპირონ უფროს თაობას, დათესონ სკეპტიციზმი და აპოლიტიკურობა, ქედი მოახრევინონ სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო ბურჟუაზიული ხნჭვეულებებისა და მორალის წინაშე.

ასეთ პირობებში შეუწყნარებელია აღმზრდელობითი მუშაობის რაიმე შესუსტება, რადგან „... სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება... ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“ (ლენინი). ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მისი რევოლუციური, კლასობრივი წრთობის, მარქსისტულ-ლენინური განათლების ამოცანები პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის სულ უფრო აქტუალური და პასუხსაგები ხდება. ამჟამად ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ:

— მოვამზადოთ ყოველმხრივ განვითარებული თაობა, დიდად განათლებული ადამიანები, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მტკიცე და თავდადებული მებრძოლები, რომლებსაც უნარი ექნებათ მართონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეები. ვასწავლოთ კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს შემოქმედებითად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ჩავუნერგოთ მათ მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, იდეური სიმტკიცე, კლასობრივი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, ერთგულება პარტიის საქმისადმი. მთელმა ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს ლენინის მოძღვრება, იცოდეს ლენინურად ცხოვრება და ბრძოლა;

— აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიის გამოცდილების, ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების საფუძველზე, დაუცხრომლად განვუვითაროთ მას საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობები, სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მუდმივი მზადყოფნა იარაღით ხელში დაიცვას ოქტომბრის მონაპოვრები;

— ჩავუნერგოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი, მაღალი პასუხისმგებლობა კოლექტივისა და საზოგადოების საქმეებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ მათ ნათლად ჰქონდეთ შეგნებული პირადი იდეალების ურღვევი კავშირი ხალხის დიად მიზნებთან;

— აღვზარდოთ მოზარდი თაობა კომუნისტური მორალისა და ზნეობის, კოლექტივიზმისა და ამხანაგობის სულისკვეთებით, ეგოიზმის, მეშჩანობისა და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და საბჭოთა კანონების დარღვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით;

— ავამაღლოთ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის რევოლუციური სიფხიზლე, თანმიმდევრულად ჩავუნერგოთ მათ შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი, იმპერიალისტური პროპაგანდის ცდებისადმი — გზას აცდინონ ახალგაზრდა თაობა „კლასობრივი ზავის“ ყალბი ლოზუნგებით, ულმობლად ვამხილოთ კაპიტალიზმის ანტიხალხური რეაქციული არსი.

კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელება მით უფრო წარმატებითი იქნება, რაც უფრო მაღალია მოზარდი ცვლის შეგნებულობა. მხოლოდ მაღალი იდეური რწმენის, პოლიტიკური სიმწიფის, განათლების, მტკიცე დისციპლინისა და ორგანიზებულობის ადამიანებს, რომლებსაც არ აშინებთ არავითარი სიძნელე და განსაცდელი, შეუძლიათ პირნათლად გადაწყვიტონ სოციალისტური წყობილების წინაშე ისტორიის მიერ დასახული ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავი მოეწყოს კომუნისტური პარტიის გარშემო კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის შემდგომი შეკავშირების, ე. ი. ლენინის ანდერძისადმი მათი უსაზღვრო ერთგულების, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის ერთობისა და მემკვიდრეობითობის ნიშნით.

რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, საოკრუგო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, შენაერთებისა და სამხედრო სასწავლებლების პოლიტორგანოებს გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს პრაქტიკული დახმარება სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის მომზადებასა და მოწყობაში. ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მისწრაფებას ლენინური კომკავშირის იუბილე აღნიშნონ დამკვრელური შრომით საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჩინებული და კარგი სწავლით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებით.

2. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა, საოკრუგო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განუწყვეტლივ აუმჯობესონ ახალგაზრდობასთან მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

მთელი აღმზრდელობითი მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, ატარებდეს საბრძოლო შეტევითს ხასიათს, შეესაბამებოდეს ახალგაზრდობის გაზრდილ ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, ითვალისწინებდეს სხვადასხვა კატეგორიის — მუშების, კოლმეურნეების, მოსწავლეების, სტუდენტების, ახალგაზრდა ინტელიგენციისა და მოსამსახურეების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები კამპანიურად კი არა, არამედ დაკვირვებით და განუწყვეტლივ მუშაობდნენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდისათვის, ეხმარებოდნენ მათ სწორად შეაფასონ როგორც მიღწევები, ისე გადაუჭრელი პრობლემები, განამტკიცებდნენ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ახალგაზრდობასთან მუშაობაში ჩაბან პარტიის საუკეთესო კადრები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ ღრმა ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასწავლებლების წამყვან სპეციალისტებთან, კულტურის მოღვაწეებთან ერთად ყოველნაირად დაამუშაონ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პრობლემები.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲛᲐ ლ. Ა. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛ, Ე. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲛ, Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲛ ამხანაგებს ვალტერ ულბრიხტს, ვილი შტოფს, იოჰანეს დიკმანს, ერიხ კორენსს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სახელმწიფო საბჭოს, სახალხო პალატას, მინისტრთა საბჭოს, ეროვნული ფრონტის დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს მთელ ხალხს ძმურ სალამს უძღვნიან და გულითადად ულოცავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეცხრამეტე წლისთავს.

გერმანიის მშრომელთა სახელმწიფო წლითიწლობით იკრებს ძალებს, ამრავლებს თავის მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, ნათქვამია დეპეშაში. დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩადგა მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოთა რიგებში, საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი პიონერია.

ხალხებს სამართლიანად ეჩიჩნიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკის დამცველად. ევროპის უშიშროების დიდმნიშვნელოვან ბასტიონად, რომელიც გადაჭრით და მტკიცედ წინ აღდგომია დასავლეთგერმანელ რევანშისტთა, შილიტარისტთა და ნეონაცისტთა აგრესიულ მისწრაფებებს.

საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალული არიან ღრმა კმაყოფილების გრძნობით იდეური და მოკავშირული ერთიანობის გამო, რომელიც ახასიათებს ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ურთიერთობას. ისინი დიდად აფასებენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი მხარდამხარ არიან, როცა საჭიროა წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალიზმის, კონტრრევოლუციისა და რეაქციის ძირგამომთხრელ მოქმედებას, გამოიჩინონ ერთგულება ჩვენი საერთო ინტერნაციონალური მოვალეობისადმი.

ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების მჭიდრო ერთიანობა, მათი სოციალისტური სოლიდარობა საიმედოდ ემსახურება იმას, რომ განმტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცადი პრინციპების საფუძველზე. სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად ჩვენ მუდამ მტკიცედ დავიცავთ ხალხთა სოციალისტურ მონაპოვრებს, გადაჭრით აღვკვეთთ იმპერიალისტური ძალების ყოველ ცდას ზიანი მიაყენონ სოციალიზმის მსოფლიო პოზიციებს.

ზეიმით აღვნიშნავთ რა თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს ეროვნულ დღესასწაულს, ნათქვამია დასასრულ, სულით და გულით ვუსურვებთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ახალ დიდ წარმატებებს დიადი ისტორიული მისიის შესრულებაში — გერმანიის მიწაწყალზე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში, გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების შემდგომ განმტკიცებაში.

(საკდესი).

ᲧᲕᲐᲠᲚᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲒᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ ᲐᲥᲪᲘᲔᲡ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲮ. Გ. ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

— ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ რაიონის მევენახეებმა წელს დიდი მუშაობა გასწიეს შემოდგომის ბარაქის — ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის, — განაცხადა „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან საუბარში პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. ზაუტაშვილმა. საერთოდ არასელსაყრელი ამინდის პირობებში მევენახეებმა, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა დროულად განახორციელეს ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, და სიხელეები დაძლეულ იქნა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ღვინის ქარხნების მშრომელებმა, საკავშირო-სოციალისტმა ენერგიულად იშრომეს იმისათვის, რომ ყურძნის უხვი მოსავალი უდანაკარგოდ აეღოთ. უკვე მოკრეფილია და ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 14.800 ტონა ყურძნის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.200 ტონისა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულია პირველი წარმატება. ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს და სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სოფლების: ჭიკანის მარქსის სახელობის, შილდის კუიბიშევის სახელობის, გავაზის ენგელსის სახელობის, ახალსოფლის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. წარმატება მოიპოვა ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ.

ყურძნის მიღებასა და გადამუშავებაში წარჩინებები მოიპოვეს ახალსოფლისა და ჭინძმარაულის ღვინის ქარხნებმა. რაიონის მევენახეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიურმა მაჩვენებლებმა 17.000 ტონამდე მიაღწიონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ყვარლის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მევენახეები Ე. ᲜᲐᲑᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მარცხნივ) და Ზ. ᲗᲐᲚᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. თვეთეული დღეში 800 კილოგრამზე მეტ ყურძენს კრეფს.

ფოტო მ. ᲗᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ. (საქდესის ფოტოქრონიკა).

250.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲮᲘᲠᲡᲚᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა. მოიკრიფა და ღვინის ქარხანას გადასამუშავებლად ჩაბარდა 2.030 ტონა ხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.000 ტონისა.

ხირსელი მევენახეები მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ 7 ოქტომბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 300 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. ყურძნის დამზადება გრძელდება, — ეს აცნობა „კომუნისტს“ რედაქციას ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ᲙᲐᲜᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ

(დასასრული)

3. პარტიულმა კომიტეტებმა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განუწყვეტლივ უნდა განავითაროონ და წარმართონ ახალგაზრდობის ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი, მისწრაფება საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესთა ღრმა გააზრებისადმი, იბრძოლონ იმისათვის, რომ თითოეული კომკავშირელი, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი სისტემატურად სწავლობდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, ესმოდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონები, ერკვეოდეს თანამედროვე პოლიტიკის სირთულეში.

საჭიროა განახორციელონ კომკავშირული პოლიტიკური განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი, მიიჩნიონ იგი ახალგაზრდობაში პარტიისა და კომკავშირის იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. წრეებსა და სემინარებში მეცადინეობის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის შესწავლა, კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, ახალგაზრდათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე პრობლემების შესწავლა. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ ახალგაზრდობა უფრო ღრმად სწავლობდეს ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას. ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებაში უფრო ფართოდ გამოიყენონ ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა სემინარები და გასაუბრებანი, თეორიული კონფერენციები და შემოქმედებითი დისკუსიები. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან მნიშვნელოვნად აუმჯობესებდნენ კომკავშირული პოლიტიკური განათლების პროპაგანდისტთა შერჩევასა და მომზადებას, აწყობდნენ მათ სისტემატურ თეორიულ და მეთოდურ სწავლებას პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე. 1969-1970 წლებში უნდა მოეწყოს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე თვალსაჩინოების შექმნის კონკურსები კომკავშირული წრეებისა და სემინარების მსმენელთათვის.

ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა ბევრად დამოკიდებულია პოლიტიკური ინფორმაციის პარტიულ მიზანმიმართულებასა და ოპერატიულობაზე. თითოეული კომუნისტი, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ხელმძღვანელი მოვალეა რეგულარულად ხვდებოდეს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, განუმარტავდეს მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, დასაბუთებულად და სიმართლით უპასუხებდეს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში უფრო კარგად და მიზანდასახულად უნდა გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება — პრესა, რადიო, ტელევიზია . გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „სელსკაია ჟიზნის“, „სოვეტსკაია როსიის“, „ტრუდის“, ჟურნალების „კომუნისტის“, „პარტიინაია ჟიზნის“, „აგიტატორის“, „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად უნდა გააშუქონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემები, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა გააუმჯობესოს და გააფართოოს ახალგაზრდობისათვის გადაცემების ხარისხი და მოცულობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აამაღლონ კომკავშირული პრესის, პოლიტიკური, მხატვრული. მეცნიერულ-პოპულარული და მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურის დონე ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის, შეიმუშაონ წიგნებისა და ბროშურების, თემატური ბიბლიოთეკების, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების გაფართოებისა და ახალგაზრდობის გამომცემლობათა მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

4. ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ღრმა და განუწყვეტელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა, კონკრეტული ცვლილებანი შრომის ხასიათში. უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ კომკავშირული ორგანიზაციები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვისათვის მუშაობაში, სამეურნეო რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებაში, მივიჩნიონთ ეს პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებაში კომკავშირის მონაწილეობის უშუალო, კონკრეტულ ამოცანად. კომკავშირელები და ახალგაზრდობა კომუნისტებთან ერთად უნდა მეთაურობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებასა და მოძრაობას კომუნისტური შრომისათვის, ბრძოლას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ ქალიშვილებისა და ჭაბუკების პროფესიული მომზადებისათვის, მათი საწარმოო ზრდისათვის; შეუქმნან საჭირო პირობები შემოქმედებითი, მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ჩაუნერგონ სიყვარული თავისი პროფესიისადმი; ყოველი ღონისძიებით განუვითარონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ინტერესი ტექნიკისადმი, კვლევისადმი, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობისადმი; უფრო აქტიურად ჩააბან ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის ახალგაზრდობის განათლების ამაღლების, პროფესიის შეძენისა და კვალიფიკაციის სრულყოფის პირობების შექმნას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნით ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს. საჭიროა მეტი ყურადღება დავუთმოთ მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, ხელი შეეუწყოთ კვალიფიკაციის ზრდას, მივაღწიოთ, რომ ისინი ფართოდ მონაწილეობდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალურ საკითხთა შემოქმედებითს განხილვაში, თეორიულ კონფერენციებსა და მეთოდოლოგიურ სემინარებში, განვამტკიცოთ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კავშირი საწარმოო კოლექტივებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ლენინური კომკავშირი შეძლებს გაშალოს საბჭოთა ახალგაზრდობის ნამდვილად მასობრივი მოძრაობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დასაუფლებლად.

5. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ უნდა გააუმჯობესონ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. სწავლამ და აღზრდამ სტუდენტებსა და მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი აზროვნება, ინტერესი მეცნიერებისა და ტექნიკისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვევები, მოამზადოს ისინი აღმშენებლობითი შრომისათვის ხალხის საკეთილდღეოდ. განუწყვეტლივ აუმჯობესონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება, მხედველობაში იქონიონ, რომ თუ ახალგაზრდამ ღრმად არ შეისწავლა მარქსისტულ-ლენინური თეორია, თუ ნათლად ვერ გაერკვა პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკაში, ვერ იქნება კარგი საბჭოთა სპეციალისტი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

მხარი დავუჭიროთ მისწრაფებას, რომ შეიქმნას სტუდენტთა საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, სამშენებლო რაზმები, სასკოლო სამეცნიერო წრეები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, გავააქტიუროთ სტუდენტთა და მოსწავლეთა მეცნიერული კვლევა, წავახალისოთ ისინი საუკეთესო ნაშრომებისათვის. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა მეტი დახმარება გაუწიონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა მუშებსა და სოფლის მშრომელებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად მომზადებაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ შეიმუშაონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაძლიერდეს კომკავშირული ორგანიზაციების როლი სასწავლო და აღმზრდელობითს მუშაობაში, მათი მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების, სპეციალისტთა განაწილების, სტიპენდიების დანიშვნის, საწარმოო პრაქტიკის, სტუდენტებისა და მოსწავლეების ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის საკითხების გადაჭრაში, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა მეტი ყურადღება დაუთმონ პიონერთა ორგანიზაციებს, ეცადონ, რომ თითოეული რაზმეულისა და რაზმის ცხოვრება იდეურად სავსე, საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს, პიონერებს ჩაუნერგონ ცოდნისა და შრომისადმი მისწრაფება. პიონერებთან მუშაობაში უფრო სრულად გაითვალისწინონ ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებანი და ინტერესები. გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევა და მომზადება.

6. სოციალისტური სამშობლოს დაცვა საბჭოთა ახალგაზრდობის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. იმპერიალიზმის აგრესიულობის გაძლიერებისა და საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თითოეულ ახალგაზრდას ჩავუნერგოთ მზადყოფნა სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის. კომკავშირმა კვლავაც უნდა განამტკიცოს საშეფო კავშირი საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამხედრო სწავლების განხორციელების, წვევამდელთა მომზადების საქმეში, ქალიშვილები და ჭაბუკები ჩააბას არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობაში, ხელი შეუწყოს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონის შესრულებას.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდისათვის გახდა გმირობის, შინაგანი ერთიანობისა და მამაცური ხასიათის ადამიანის გამოწრთობის ნამდვილი სკოლა. ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ მეთაურებსა და პოლიტორგანოებს პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების, სოციალისტური სამშობლოს მტკიცე და მამაცი დამცველების აღზრდაში, ახალგაზრდა მეომრების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებაში. მიაღწიონ იმას, რომ ისინი სრულყოფილად ფლობდნენ თანამედროვე იარაღსა და ტექნიკას.

7. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ განავითაროონ ახალგაზრდის პიროვნება, ჩაუნერგონ კომუნისტური მორალი, აამაღლონ ქალიშვილებისა და ჭაბუკების საერთო კულტურა. საჭიროა ახალგაზრდობას ვასწავლოთ და დავეხმაროთ გონივრულად იყენებდეს თავისუფალ დროს სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, პარკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა უფრო სრულად შეესაბამებოდეს თანამედროვე ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ხელს უწყობდეს მხატვრული შემოქმედებისადმი აქტიური ინტერესების განვითარებას, ტალანტისა და ნიჭის გამოვლინებას. ფართოდ გააცნონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა უმდიდრესი კულტურული ძემკვიდრეობა. განავითაროონ მასობრივი მხატვრული თვითმოქმედება, მოაწყონ დათვალიერებანი, კონკურსები, გამოფენები და ფესტივალები, გააუმჯობესონ ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაცია საცხოვრებელ ადგილას. პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ინიციატივას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის, საბჭოთა სოფლის კულტურის აღმავლობისათვის ახალგაზრდათა მასობრივი მოძრაობის გაშლის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოსა და თეატრის მოღვაწეებს შექმნან ახალი მკაფიო მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც ახალგაზრდობის შეგნებაში დაამკვიდრებენ კომუნიზმის იდეალებისადმი ურყევ რწმენას, ასახავენ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს, ჩაუნერგავენ სიძულვილს კლასობრივი მტრებისადმი, მათი იდეოლოგიისა და მორალისადმი. შემოქმედებითს კავშირებსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს რჩევა მიეცეთ სისტემატურად მოაწყონ კონკურსები ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის, ახალგაზრდა ლიტერატორთა სემინარები, სახვითი ხელოვნების გამოფენები, მუსიკისა და კინოს ფესტივალები. სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტებმა გააუმჯობესონ პოლიტიკური მუშაობა ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციაში, ხელი შეუწყონ მის იდეურ და პროფესიულ ზრდას, მუშებთან, გლეხებთან, მეომრებთან, სტუდენტებსა და მოსწავლეებთან კავშირის განმტკიცებას, აქტიურად დაუჭირონ მხარი და პროპაგანდა გაუწიონ ჩვენი ახალგაზრდობის ღირსეულ ნაწარმოებებს.

8. უნდა გავაძლიეროთ ზრუნვა ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდისათვის. მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი უნდა ემსახურებოდეს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ახალგაზრდობის მომზადებას შრომისა და თავდაცვისათვის. კომკავშირი მოვალეა იყოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წამყვანი ძალა, კომკავშირელები კი — ფიზკულტურული მოძრაობის აქტიური მონაწილენი. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალურმა საბჭომ სხვა უწყებებთან ერთად შეიმუშაონ ტრადიციული სპორტული და ტურისტული ღონისძიებების სისტემა სასწავლებლებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, რაიონებსა და ქალაქებში. სტადიონებზე, სპორტულ დარბაზებში, აუზებსა და კულტურის პარკებში გაითვალისწინონ ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა კადრების და ინვენტარის გამოყოფა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისათვის. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა კომკავშირის, პროფკავშირების, ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტების მონაწილეობით უზრუნველყონ სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მაქსიმალურად გამოყენება, წაახალისონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მისწრაფება სამხედრო-ტექნიკური სპეციალობების დაუფლებისადმი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკებისა და თავდაცვით-ტექნიკური კლუბების შექმნისადმი.

9. ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს კიდევ უფრო ავამაღლოთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის, როგორც მასობრივი, თვითმოქმედი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის, პარტიის რეზერვის, მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში და ახალი საზოგადოების მშენებლობაში პარტიის უახლოესი თანაშემწის როლი. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა, სრულიად საკავშირო ალკკ სამხარეო კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებასა და ამაღლებას, ახალგაზრდობის ყველა ფენაზე მათი იდეური გავლენის გაძლიერებას. საჭიროა მნიშვნელოვნად ვაუმჯობესებდეთ იდეოლოგიურ მუშაობას ადამიანებთან, განუწყვეტლივ ვსწავლობდეთ და ვითვალისწინებდეთ ახალგაზრდობის შეხედულებებსა და რწმენას, გულისხმიერად ვეხმაურებოდეთ მის მოთხოვნილებებს, ვეხმარებოდეთ საარსებო გეგმების განხორციელებაში. განავითაროთ კავშირის შინაგანი დემოკრატია, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, განვამტკიცოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებში, საქმე ისე წარვმართოთ, რომ თითოეული კომკავშირელი აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ორგანიზაციის მუშაობაში, იყოს პასუხისმგებელი მისი საქმიანობისა და საერთოდ კომკავშირის საქმიანობის შედეგებისათვის.

კომკავშირის როლის გადიდება გულისხმობს მის უფრო ფართო მონაწილეობას სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობაში. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიიჩნია, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტონ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული მომზადების, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საკითხები სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტების მონაწილეობით, ყურადღებით მოეკიდონ კომკავშირული ორგანიზაციების წინადადებებს, გაუწიონ მათ ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება. კომკავშირის კომიტეტებმა პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებასა და დათხოვნასთან, ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების პრემირებასთან, მოზარდთა შრომის დაცვასთან, საცხოვრებელი ბინების, საერთო საცხოვრებლებში ადგილების განაწილებასთან, იმ სახსრების გამოყენებასთან, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა საწარმოთა, კოლმეურნეობათა და დაწესებულებათა მუშაობის საკითხთა განხილვაში და შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე ამ საკითხების აღძვრაში.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული შეიქმნას დეპუტატების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში.

10. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, საოკრუგო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს აამაღლონ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმისადმი ხელმძღვანელობის დონე. უფრო ღრმად გააანალიზონ კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ცხოვრება, ახალგაზრდობის წრეში მიმდინარე პროცესები, მხარი დაუჭირონ და წარმართონ სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტების საქმიანობა. ამასთან არ დაუშვან წვრილმანი მეურვეობა და რეგლამენტაციები, დაიცვან ისინი შეცდომებისაგან, ასწავლონ სიძნელეთა დაძლევა, ფეხდაფეხ მიჰყვნენ ცხოვრებას. პარტიულმა კომიტეტებმა ყოველდღიურად უნდა შეათანხმონ იმ უწყებებისა და ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც მოწოდებული ხარან აღზარდონ ახალგაზრდობა.

ყურადღება მიაქციონ კომკავშირის კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, მათი მარქსისტულ-ლენინური წრთობის ამაღლებას, კომკავშირულ ორგანიზაციებში პარტიული ბირთვის განმტკიცებას. მიმდინარე წლიდან მოაწყონ კომკავშირული მუშაკების რეგულარული გადამზადება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის, პარტიის საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლებისა და კურსების ბაზაზე. საჭიროდ მიიჩნიონ, რომ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნას უმაღლესი კომკავშირული სკოლა. პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოკრუგო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მუშაობის პრაქტიკაში დანერგონ კომკავშირული აქტივის თაობირების რეგულარული მოწვევა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის, საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მათი ინფორმირებისათვის, აგრეთვე კომკავშირის მუშაობის საკითხთა განხილვისათვის. უფრო გაბედულად დააწინაურონ დამოუკიდებელ სამეურნეო და ადმინისტრაციულ სამუშაოზე, კოლმეურნეობათა გამგეობებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არჩევით ორგანოებში ისეთი კომკავშირელები, კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები, რომლებმაც კარგი სახელი მოიხვეჭეს.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ კომკავშირელები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა სულითა და გულით აღიქვამენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ეგებებიან სრულიად საკავშირო ალკკ იუბილესა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, კიდევ უფრო აამაღლებენ თავის შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო, თავდადებულად იშრომებენ კომუნიზმის საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

პარტიული კადრების სწავლება

დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების ხელახლა გადამზადების შუადამეშემდეგი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთი თვის მეცადინეობა გაიარეს პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეებმა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებულმა მდივნებმა.

კურსებზე მეცადინეობის დროს მსმენელები ესწრებოდნენ ლექციებს და მონაწილეობდნენ სემინარებში სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, მეცნიერული კომუნიზმის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე. სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო პარტიული მშენებლობის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხების შესწავლას.

მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. (საქდესი).

მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა

7 ოქტომბერს მოსკოვიდან სოფიაში გაფრინდა საბჭოთა უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ვ. პ. ელიუტინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი განათლების მინისტრების თათბირში, რომელიც 8 ოქტომბერს გაიხსნება ქალაქ ვარნაში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ვ. პ. ელიუტინმა თქვა:

ამ თათბირის თემა — „ტექნიკურულ-ტექნიკური რევოლუცია და კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში“ — უკვე მნიშვნელოვან წილად ასახავს მომავალი შეხვედრის არსს. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის განათლების დარგის სპეციალისტები.

როგორც წინა შეხვედრებმა აცხადეს, განაცხადა ვ. პ. ელიუტინმა, განათლების აქტუალურ საკითხებზე საბჭოთა და უცხოელი კოლეგების თანამშრომლობას კარგი შედეგები მოაქვს.

(საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ს. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვეპის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქმინხილწყლების“ ტრესტის მმართველი ამხ. გიორგი სილობისტროს-ძე **ბაქრაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზევნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. ნ. სვინტრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მეხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონსტანტინე ნესტორის-ძე **სვინტრაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზევნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთან დაკავშირებით, ინგირის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ამხ. არტემ იაკობის-ძე **შონია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზევნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. დ. კლდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. მარიან დავითის-ძე **კლდიაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზევნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1968 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით, ლოლოს მეექვნარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. კარლო არტემის-ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზევნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. კვ

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დეკანოზთა საკავენტოები გვაცნობენ ბიბლიოფილთა

გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვ ი თ ა რ ე ბ ა ფ ი

საბჭოთა მთავრობის მოწვეთ, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-იემენის ერთობლივ კომუნიკეში, 1968 წლის 1-დან 5 ოქტომბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა იემენის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის, იემენის არმიის მთავარსარდლის გენერალ ჰასან ალ-ამრის მეთაურობით.

პრემიერ-მინისტრმა ჰასან ალ-ამრიმ და დელეგაციის წევრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირში გულითადი მიღება და სტუმართმოყვარეობა გაუწიეს მათ, რაც გამოხატავს საბჭოთა ხალხის მეგობრობასა და პატივისცემას მეგობარი იემენის არაბთა რესპუბლიკის ხალხისადმი.

პრემიერ-მინისტრსა და დელეგაციის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინთან. ამ შეხვედრების დროს გაიმართა გულწრფელი და მეგობრული საუბრები.

საბჭოთა კავშირისა და იემენის მხარეებს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო და სხვები.

იემენის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი ჰასან ალ-ამრი, საგარეო საქმეთა მინისტრი იაპია ჯაჰმანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებში აბდო საადი და დელეგაციის სხვა წევრები.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. კვლავ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირ-იემენის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობის ხელშეკრულების საფუძველზე. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის მეგობრულმა ურთიერთობამ, რომლის ორმოცი წლისთავი უახლოეს დროში აღინიშნება, გაუძლო დროის გამოცდას და ახლა აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოლაპარაკების მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებზე. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი პოზიციები ერთნაირია ძირითად საერთაშორისო პრობლემებში.

განიხილეს საკითხები, რომ საბჭოთა მხარემ კვლავ ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს იემენის არაბთა რესპუბლიკას თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში იმპერიალისტური და სხვა რეაქციული ძალების განუწყვეტელი ხრიკების წარმატებით აღსაკვეთად.

მოლაპარაკების მსვლელობაში დაისახა ეკონომიურ დარგში შემდგომი თანამშრომლობის გზები, კერძოდ, იემენის არაბთა რესპუბლიკისთვის კვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადების ღონისძიებანი, რათა უფრო სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული საშუალებები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იემენის არაბთა რესპუბლიკაში პატარა სამრეწველო საწარმოების შექმნისათვის, დაკმაყოფილოს იემენის ხალხის მზარდი საჭიროებანი.

იემენის მთავრობის დელეგაციამ თავისი ხალხისა და მთავრობის სახელით მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს და უწევენ იემენის რევოლუციასა და იემენის ხალხს უკეთესი ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, რომ იემენის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი პრემიერ-მინისტრ ჰასან ალ-ამრის მეთაურობით და ვიზიტის მსვლელობაში გამართული მოლაპარაკება დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში.

● სირია

საბჭოთა ფილმის წარმატება

დამასკო, 5 ოქტომბერი. საკადესის კორესპონდენტი მ. დრობოტია გვატყობინებს:

სირიის დედაქალაქის ეკრანებზე უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმს „ომი და მშვიდობა“, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს მაყურებელთა შორის. პრესა, რადიო, ტელევიზია მაღალ შეფასებას აძლევენ ფილმის ღირსებებს და ხაზს უსვამენ ამ ნაწარმოების მაღალმხატვრულ დონეს, თავისი დამოუკიდებლობისათვის რუსი ხალხის ბრძოლის ნამდვილ ასახვას. დღევანდელი გაზეთი „ას-საურა“ მაღალ შეფასებას აძლევს ფილმის მსახიობებსა და შემქმნელებს და აღნიშნავს, რომ ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით რეჟისორ ს. ბონდარჩუკს, მსახიობებს ვ. ტიხონოვს, ლ. საველიევას.

საშიში პროვოკაცია

ვარშავა, 7 ოქტომბერი. (საკადესი). **პოლონური გაზეთი „ეიჩე ვარშავა“ დღეს ამხილებს დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავთა პროვოკაციულ მოქმედებას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების მიმართ.**

იმოწმებს რა კომპეტენტური წრეებიდან მიღებულ ცნობას, გაზეთის მოპყავს ფაქტები, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო თვითმფრინავები 50 მეტრ სიმაღლეზე გადაუფრენდნენ ხოლმე პოლონეთის გემებს, რომელნიც საერთაშორისო წყლებში იყვნენ, წყალში აგდებდნენ ტივტივებს ხომალდებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვითმფრინავთა მოქმედება, — წერს „ეიჩე ვარშავა“, — აფერხებდა პოლონეთის ხომალდების სვლას დასახული კურსით საერთაშორისო წყლებში, ხოლო ანძების სიმაღლეზე ფრენა და ტივტივების ჩამოყრა საფრთხეში აგდებდა პოლონეთის სამხედრო ხომალდების ეკიპაჟთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თვითმფრინავები ასე მოქმედებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის აშკარა დასტურით. და ყოველივე ეს აშკარად მიმართულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი საქციელი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო წყლებში ნაოსნობის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს. გაზეთი ამ მოქმედებას უწოდებს „საშიში პროვოკაციის აქტებს“.

„ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, — დაასკვნის „ეიჩე ვარშავი“, — რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები არ დარჩებიან უმოქმედოდ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების საზღვრების დარღვევის შემთხვევაში.

მსოფლიო

ფაქტები

□ **ჰანოი, 7 ოქტომბერი.** (საკადესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს, რომ 8 ოქტომბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამაერო სივრცეში კუანგბინის პროვინციაში ჩამოაგდეს კიდევ ერთი ამერიკული თვითმფრინავი. ამრიგად, ჩრდილოეთ ვიეტნამში ჩამოგდებულ ამერიკულ თვითმფრინავთა რიცხვმა 3.196-ს მიაღწია.

□ **რომი. მიმდინარე წლის აპრილისათვის რომის მოსახლეობა 2.650.000 კაცს შეადგენდა. ამას იუწყება „მუდმივი ქალაქის“ მუნიციპალიტეტი.**

□ **ტოკიო, 7 ოქტომბერი.** (საკადესი). იაპონიის კომპანია „ხიტატი“ იუწყება, რომ შეიქმნა ლაზერის საშუალებით დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვების სისტემის ექსპერიმენტული ნიმუში.

დაკვირვების ახალი სისტემა, ნათქვამია კომპანიის ცნობაში, ათჯერ უფრო ზუსტად დედამიწის თანამგზავრებზე რადიოდაკვირვების ჩვეულებრივ მოწყობილობასთან შედარებით. ახალი სისტემის საფოძველს შეადგენს ლალის ლაზერი, რომელიც ასხივებს სინათლის სხივების ინტენსიურ კონას, რომელიც საშუალებას იძლევა დაკვირდნენ თანამგზავრებს 2.000 კილომეტრამდე მანძილზე.

□ **კაირო, 7 ოქტომბერი.** (საკადესი). კაიროდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ისრაელი მოაკუპირებელი ხელისუფალნი განაგრძობენ ძალადობას ოკუპირებული რაიონების არაბი მოსახლეობის მიმართ.

როგორც დღეს „იჰეთეშნ გაზეთი“ აღნიშნავს, არაბ ქალებსაც კი, რომლებიც ისრაელის დილეგებში სხედან, მხეცურად აწამებენ, თუმცა ხელისუფლებს მათთვის ვერ წაუყენებიათ რაიმე ბრალდება.

სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები ლაშქრობაში.

ფოტო ვია-საკადესისა.

● ჩეხოსლოვაკია

საბჭოთა კავშირის შეკვეთით

პრაღა, 5 ოქტომბერი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „მოტოკრეგო“ 1969 წლის საბჭოთა შემკვეთებს მიაწვდის 1.000-მდე მძიმე 12 ტონიან „ტატრა-138“ მარკის ავტომანქანებს. ეს დიდტვირთიანი მანქანები ჯათვალისწინებულია დიდი მშენებლობისათვის, მაღაროებისა და ქვანახშირის დამუშავებისათვის. ავტომანქანები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკიდურეს ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატურ პირობებში.

ამას წინათ ბრნოს მეათე საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიური საავტომობილო ტექნიკის მიწოდების შესახებ.

საბჭოთა შემკვეთების დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილმა ახალი ტიპის ქალაქის ავტობუსმა „ხხმ-11“. საბჭოთა კავშირში ხაქესლოვატაციო გამოცდისათვის 15 ასეული მანქანა გაიგზავნა.

● იაპონია

„იაკ-40“ ტოკიოში

ტოკიო, 5 ოქტომბერი. (საკადესი). ტოკიოს ხანდის საერთაშორისო აეროპორტში დღეს დაჯდა საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავი „იაკ-40“. გენერალური კონსტრუქტორის ა. იაკოვლევის მიერ შექმნილ 33 ადგილიან თვითმფრინავს აქ უჩვენებენ მეორე საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე, რომელიც 9 ოქტომბერს იხსნება.

გარდა „იაკ-40“-ისა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ახალი ვერტმფრინავი „კა-26“ (ავიაკონსტრუქტორი ა. კამოვი), ახალი საბჭოთა სამგზავრო ლაინერების „ილ-62“-ისა და „ტუ-154“-ის მოდელები.

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

მოუწოდებენ გამალებული შეიარაღებისათვის

ბონი, 7 ოქტომბერი. (საკადესი). „კიზინგერი მოითხოვს მეტ ფულს შეიარაღებისათვის“, — ასეთი სათაურით დასავლეთგერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშუ“ დღეს აქვეყნებს ანგარიშს ქრისტიანულ -დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციის „იუნგე უნიონის“ ყრილობის შესახებ, რომელიც ლუდვიგსჰაფენში გაიმართა. ამ ყრილობის ტრიბუნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ კიზინგერმა გამოიყენა სამხედრო ისტერიის გაღვივებისა და ახალი მოწოდებებისათვის გაძლიერონ გამალებული შეიარაღება. იგი მოითხოვდა შეცვალონ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა, გააძლიერონ ნატო და განაცხადა, რომ მზად არის გაადიდოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის. კანცლერი ამართლებდა ბონის „აღმოსავლეთის პოლიტიკას“, რომლის მიზანია, როგორც ფაქტები მოწმობენ, ძირი გამოუთხაროს სოციალისტური ბანაკის ერთობას.

ბუნდესვერის ხელახლა შეიარაღება მოითხოვა ყრილობაზე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ბარცელმა. თუ არ გავადიდეთ სათანადო საბიჯეტო ასიგნებანი, ამას ვერ მივაღწევთ, თქვა მან. ასეთივე აზრი გამოთქვა ბონის თავდაცვის მინისტრმა შრედერმა. იგი მოითხოვდა განახორციელონ „უფრო გაბედული“ პოლიტიკა ევროპაში.

რევანშისტთა აქტიურობა

ბონი, 5 ოქტომბერი. (საკადესი). პოლონეთის კუთვნილ ტერიტორიებზე რევანშისტული პრეტენზიებით გამოვიდა „სილეზიელ გერმანელთა სათვისტომოს“ მეთაური ხუპკა: ყოველკვირეულის „დერ შლეზიერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან მოუწოდა ამ „სათვისტომოში“ შევიდეს ყველა, ვისაც „შეგნებული აქვს თავისი ერთგულება სილეზიისადმი და სილეზიაზე გერმანელი ხალხის უფლება“. რევანშისტულმა ლიდერმა აზრი გამოთქვა იმ საზღვრების წინააღმდეგ, რომლებიც ევროპაში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

გამოაცხადა რა „სილეზიელ გერმანელთა სათვისტომოს“ საქმიანობის აქტივიზაციის პროგრამა, ხუპკამ განაცხადა „სათვისტომოს“ ლიდერთა განზრახვაა დაიწყონ ახალი მომხრეების გადაბირება.

● ვიეტნამი

აგრესორთა ზარალი

ჰანოი, 7 ოქტომბერი. (საკადესი). **განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა სექტემბრის ბოლო რიცხვებში განახორციელეს მთელი რიგი წარმატებითი ოპერაციები ამერიკა-საიგონში. 24, 25 და 26 სექტემბერს მათ ზიალაის პროვინციის ცენტრალურ ზეგანზე დახოცეს და დაჭრეს 76 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპეს ავრეთვე ხუთი ტანკი. 28 სექტემბერს კუანგნამის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩულაის ბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 150 სამხედრო მოსამსახურე.**

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს რა სააგენტო განთავისუფლებას, იუწყება, რომ ამავე პროვინციაში 22 სექტემბერს განთავისუფლების ძალების მებრძოლების მიერ ჩუნგანის ავიაბაზასა და ამერიკის 196-ე მსუბუქი ქვეითი ბრიგადის პოზიციებზე თავდასხმის შედეგად, გაანადგურეს 35 თვითმფრინავი, ააფეთქეს ტუვია-წამლის საწყობი, დახოცეს და დაჭრეს 70-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

● ამერიკის შეერთებული შტატები

წინანდელ პოზიციებზე

ვაშინგტონი, 7 ოქტომბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა კვლავ დაადასტურა, რომ ამერიკის მთავრობა მტკიცე უარს აცხადებს სავსებით შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა. მან გაიმეორა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ თავის დროზე წამოყენებული პირობები დაბომბვის შეწყვეტის თაობაზე, რომლებიც ათანაბრებენ ამერიკელ აგრესორსა და აგრესიის მსხვერპლს — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ განაცხადა, „ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დატოვებას არ აპირებსო“. რასკმა ეს განაცხადა გუშინ სატელევიზიო ინტერვიუში კომპანია „იე-ბი-სიის“ „კითხვა-პასუხის“ პროგრამით.

მიუხედავად რასკის მტკიცებისა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები „ვიეტნამში მშვიდობას“ ესწრაფვოდეს, სახელმწიფო მდივნის სიტყვებიდან ცხადი იყო, რომ ვაშინგტონი ომედს ამყარებს სამხრეთ ვიეტნამში სამხედრო ძალის ზრდაზე.

● იორდანია

პარტიზანები მოქმედებენ

კაირო, 7 ოქტომბერი. (საკადესი). თანახმად აქ გამოქვეყნებული კომუნიკესი, პალესტინის წინააღმდეგობის რაზმებმა 2-დან 5 ოქტომბრამდე სამი ოპერაცია მოახდინეს წარმატებით ისრაელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ამ მოქმედების შედეგად დაზიანებულია ბეერშება-ახდოდის რკინიგზა, მოსპობილია რამდენიმე სამხედრო მანქანა, ხელთ იგდეს იარაღი, მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ისრაელი ჯარისკაცი. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ოპერაციების ყველა მონაწილე მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ხებრონში (იორდანიის დასავლეთი ნაწილი) წინააღმდეგობის ადგილობრივმა ძალებმა ააფეთქეს ისრაელთა ბანაკი.

— სპეციალური

შეიქმნა ახალი პარტია

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საკადესი). პარიზის გარეუბან ლეველუა-პერეში დამთავრდა დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკური ინსტიტუტების კონვენტის სესია.

დელეგატებმა მოიწონეს წინადადება, რომ საფრანგეთში შეიქმნას ახალი პარტია, რომელიც გააერთიანებს არაკომუნისტურ მემარცხენე ძალებს. სესიის მონაწილეებმა აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ფრანსუა მიტერანი, მარკ პაიე, შარლ ერნიუ, ლუი მერმაზი, როლან დიუმა. რესპუბლიკური ინსტიტუტების კონვენტის გენერალურ მდივნად არჩეულია კლოდ ესტიე.

კიზინგერი: — გეფიცებით! ჩვენ ჰიტლერელები კი არა, მშვიდობის მოამხრენი ვართ!

ნახ. ჟურნალ „პოლსკოე ობოზრენიედან“.

კანცლერის ოცნება და სინამდვილე

ბონის კანცლერ კიზინგერის მოგზაურობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მჭიდროდ დაკავშირებულია იმ მარცხთან, რაც იმპერიალისტებმა განიცადეს იმის ცდაში, რომ გამოტაცნათ ჩეხოსლოვაკია სოციალისტური თანამეგობრობიდან და შეექმნათ პლაცდარმი აღმოსავლეთისაკენ ახალი ლაშქრობისათვის. ბონელ რევანშისტებს შეგნებას ეფიცერეოდა იმის იმედი, რომ შეძლებდნენ სოციალისტური რეჟიმების ლიკვიდაციას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შექმნიდნენ ანამეტ სოციალისტური ბანაკის ტერიტორიაზე და მოახდენდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციას ქვეყანაში, რომელსაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან 400 კილომეტრი სიგრძის საერთო საზღვარი აქვს.

იმპერიალისტთა იმედი ჩაიფუშა, მასთან ერთად ჩაიფუშა აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკაც“, რომელზეც პათეტიკური გამოთქმებით მეტყველებდა ფედერალური კანცლერი კიზინგერი: „ჩვენ შერიგების ხელს ვუწვდით აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს“. „კომუნიზმის შეკავების“ სტრატეგიის სანაცვლოდ გამოჩნდა „ომი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან „ხიდების გადების“ პოლიტიკა. „მცოცავი კონტრრევოლუციის“ პოლიტიკა ანუ, როგორც მას შესანიშნავად უწოდებენ ბონელი დიპლომატები, „ღიმილის პოლიტიკა“.

ამ მიზნით ბონმა დათმო „ჰალშტაინის პოლიტიკა“ და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუმინეთთან და იუგოსლავიასთან ელჩების გაცვლით. ლამაზ სიტყვებს მოჰყვებოდა დასავლეთ გერმანიის გაძლიერებული მილიტარიზაცია, ბუნდესვერს გარდა იქმნებოდა „საშინაო არმია“, რომელიც უშუალოდ ბონელ გენერლებს ემორჩილებოდა, სამხედრო ხარჯების საერთო თანხა აყვანილ იქნა 22,5 მილიარდ მარკამდე ანუ მთელი წლის ბიუჯეტის 27,5 პროცენტამდე. ხოლო ბუნდესვერს შემდეგ ამოძრავდა ამერიკის მე-7 არმია და სხვა ამერიკელი ნაწილები, რომლებიც რაოდენობით 300 ათას კაცს აღემატებიან და განლაგებული არიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

მაგრამ საერთაშორისო რეაქციის შეიქმულება, რომლის მიზანი იყო „აღმოსავლეთი ევროპის ჩამოშორება კომუნისტური ბლოკისაგან და გაერთიანებული ევროპის შექმნა“, ჩაიფუშა. საჭირო გახდა კაბინეტიაის მეთაურობა და „მცოცავი კონტრრევოლუციიდან“ ნამდვილ კონტრრევოლუციაზე გადასვლა. მშფოთვარე აქტიურობამ მოიცვა ნატო და, უწინარეს ყოვლისა, ბონი. ნატოს წევრთა დედაქალაქებში სასწრაფოდ გაემართნენ საქციელწამხდარი ბონელი ემისრები. კანცლერი კიზინგერი ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა.

კიზინგერს საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებში გამგზავრებისას ამოძრავებდა საერთო მიზანი ვაშინგტონთან — ნატოს განმტკიცება. კანცლერმა თავის მოგზაურობას თუმცა „კეთილი ნების“ ვიზიტი უწოდა, მაგრამ გულში რთული და მტანჯველი გრძნობები უტრიალებდა. ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ინტერესების სფეროში აღგილი ჰქონდა იმ ქანგიანი ჯაჭვების გაწყვეტის საწყის ფაზას, რომლებიც სამხედრო ბლოკებით აკავშირებენ ხალხებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, ეკონომიურ დარგში — მეგობრული და უანგარო ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან.

ამავე დროს ვაშინგტონში დიდხანია ელოლიავებიან აზრს ახალი აგრესიული ბლოკის შექმნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს. ამ ამოცანას იზიარებს ბონიც, აღმოსავლეთისაკენ ახალი ლაშქრობისათვის რომ ემზადება. აღმოსავლეთის ქვეყნების დედაქალაქებს ხშირი სტუმრები იყნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი და სხვ. მათ წამოაყენეს „ურთიერთ დაცვის სისტემის“ შექმნის პროექტის სხვადასხვა ვარიანტი. ამ სისტემის ბირთვად ცარაუდობენ თურქეთს, ირანს, პაკისტანს, ერაყს, საუდის არაბეთს, კუვეიტს და სპარსეთის ყურის შვიდ ემირატს. ამერიკელი იმპერიალისტები ქისებს ატრიალებდნენ და ახალ ყულფს უმზადებდნენ აღმოსავლეთის ხალხებს. ვაშინგტონის მთავარი კომეთიაჟორის (სავაჭრო ფირმის აგენტის — რედ. შენიშვნა) როლს ბონი ასრულებდა. კიზინგერმა ვერ გაბედა თურქეთში პირდაპირი გზით ემოქმედა და შემოვლითს მანევრს მიმართა. „თუ დღეს ვამბობ, რომ საჭირო ნატო, — ამბობდა იგი სტამბოლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, — ეგი ჩვენ გვინდა... არა ომისათვის, არამედ მშვიდობისათვის“.

თურქეთი, როგორც განაპირა ფლანგი ნატოს მოწინავე ხაზისა სამხრეთ-აღმოსავლეთით, იმპერიალისტებისათვის, რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს წარმოადგენს. მაგრამ თურქეთში იზრდება ანტიიმპერიალისტური მოძრაობა. 1969 წელს მოქმედების ვადა უმთავრდება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტს, და ამასთან დაკავშირებით სტამბოლში, განსაკუთრებით სტუდენტთა შორის, ცხარე დისკუსიის საგანია პრობლემა თურქეთის მონაწილეობისა ნატოში. სტამბოლის სტუდენტთა ამასწინანდელ კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ თურქეთმა ორში ერთი რამ უნდა აირჩიოს: ან იყოს ხხვა სახელმწიფოს იარაღი და სამხედრო ბაზა, ან იზრუნოს უწინარეს ყოვლისა საკუთარ თავდაცვაზე. ეროვნული შეგნება, — ნათქვამია მოხსენებაში, — მოითხოვს მეორეს; რომ თურქეთს გაეცალონ ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთი მრავალთასიანი ჯარით, სამხედრო ბაზებითა და პრივილეგიებით.

ამერიკელებს თურქეთში ჰყავთ 30 ათასი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახები, რომლებიც თურქეთის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან და ექსტერტორიალობის (დგილმბრივი კანონებისადმი დაუმორჩილებლობის — რედ შენიშვნა) უფლებით სარგებლობენ. სამხედრო პაქტები თურქეთის მთავრობისაგან მოითხოვენ მშვიდობიან დროს ჰყავდეს 18 დივიზია ნახევარი მილიონი კაცის შემადგენლობით და არმიის შენახვაზე ყოველწლიურად ხარჯავდეს 6 მილიარდ თურქულ ლირას. ორმოცდაათი შეთანხმებით ერთობლივი თავდაცვის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელში ჩაეგდოთ ჰყავთ თურქეთი. თურქეთის მთავრობის იმ ცდას, რომ მიეღწია შეთანხმებათა გადასინჯვისათვის ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად შედეგი არ მოჰყოლია. ორი წელიწადია მიმდინარეობს უნაყოფო მოლაპარაკება.

თურქი მეთაურები ყოველნაირად ცდილობენ მოიპოვონ უფლება ოპერატიული კონტროლი ჰქონდეთ ამერიკა-თურქეთის ერთობლივ ბაზებზე და თურქეთის შეიარაღებული ძალები ეროვნულ სარდლობას დუმორჩილონ, მაგრამ არც აქედან გამოდის რამე.

ირანს იმპერიალისტთა სურვილისამებრ მშვიდობიან დროს თოფჯეგუ ჰყავს 210 ათასი კაცი, რაზეც უდიდეს სახსრებს ხარჯავს. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ვაჭრობს 930 მილიონი მარკის დეფიციტით.

სულ სხვა შედეგებს იძლევა ირანის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. სსრ კავშირზე მოდის ირანის ექსპორტის მეექვსედი — 30 მილიონი დოლარი. სსრ კავშირიდან ირანი იღებს 33 მილიონი დოლარის საჭირო საქონელს. ნავარაუდევია, რომ 1973 წელს ირანი სსრ კავშირიდან მიიღებს 100 მილიონი დოლარის საჭირო საქონელს. საბჭოთა კავშირი ირანს აწვდის მოწყობილობას მეტალურგიული ქარხნისათვის, ტრანსპორტის საშუალებებს და სხვ. ვაჭრობა ურთიერთ ხელსაყრელ საფუძველზე წარმოებს.

ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის ხაზით საბჭოთა კავშირი ირანში აშენებს მეტალურგიულ და მანქანათსამშენებლო ქარხნებს, სადაც 20 ათასი კაცი იმუშავებს. ამის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირი ირანიდან მიიღებს ბუნებრივ გაზს. ნავარაუდევია აშენდეს ირანში ელექტორები, ნავსადგურები, გაყვანილ იქნას გზები და სხვ.

დასავლეთელი მონოპოლისტები ძლიერ წინააღმდეგნი იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირს ირანში აეშენებინა მეტალურგიული ქარხანა, ამტკიცებდნენ ირანს ლითონის წარმოება საბოლოო ანგარიშით უფრო მეტი დაუჯდება, ვიდრე მისი საზღვარგარეთიდან მიღებაო. მაგრამ ირანის მთავრობას არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება.

თურქეთსა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა უკანასკნელ ორ წელიწადში თითქმის ერთიორად გადიდდა. განმტკიცდა სამეცნიერო და კულტურული კავშირი. სსრ კავშირის მონაწილეობით თურქეთში შენდება შვიდი დიდი ობიექტი (ალუმინის ქარხანა, ნავთობგადამმუშავებელი, გოგირდმჟავას ქარხნები, ხის ბოჭკოს ფილების ქარხანა). სსრ კავშირი ტექნიკურ დახმარებას უწევს მდინარე მანავგატზე ჰიდროელექტროსადგურის შენებლობაში. ამ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე იქნება 270 ათასი კილოვატ-საათი წელიწადში. იგი ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ქ. სეიდიშეხირის ალუმინის ქარხანას, რომელიც ავრეთვე აგებულ იქნება სსრ კავშირის ტექნიკური და ეკონომიური ხელშეწყობით.

ვითარდება ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული კავშირი ბულგარეთს, პოლონეთს, რუმინეთს და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის.

წარმატებით ვითარდება პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ავღანეთსა და სსრ კავშირს შორის.

ამ ქვეყნებში — თურქეთში, ირანსა და ავღანეთში, რომლებიც წარმატებით ავითარებენ თავიანთ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, დაიარებოდა ბონის კანცლერი და მოუწოდებდა შექმნათ „მტკიცე საძირკველი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული პოლიტიკის განსახორციელებლად. ამასვე თავის დროზე წარუმატებლად სჩადიოდა განსვენებული ადენაუერიც.

მიმართავდა რა საბიზღარ ცილისწამებას ჩეხოსლოვაკიის ამბების გარშემო, კიზინგერი, როგორც წერდა დასავლეთგერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“, თავისი მოგზაურობის დროს განიხილავდა „ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელ ამბებს და მათს შეაძლო გაკლენას საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაზე“. მიმართავდა რა მითს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, კანცლერი ცდილობდა დაეშინებინა თავისი თანამოსაუბრენი და გაეჩაღებინა სამხედრო ფსიქოზი, მოუწოდებდა გამალებული შეიარაღებისაკენ და ანტისაბჭოთა ბლოკების გაძლიერებისაკენ.

ამას წინათ, როცა დასავლეთის იმპერიალისტურმა პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ირანმა, თურქეთმა და სხვ. მიიღეს წინადადება ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის შესახებ, აღნიშნულმა ქვეყნებმა მაშინვე საჯაროდ უარყვეს ეს ცნობა. კიზინგერის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებიც თავშეკავებულად შეხვდნენ. მად საკმაო გამოცდილება შეეძინეს იმისათვის, რომ გაერკვნენ, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ მეგობარი.

დ. ზავრიევი,

**პროფესორი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტ

ხალხი უმღერის

ყოველდღიურად „კომუნისტის“ რედაქციაში ფოსტას მრავალი ლექსი მოაქვს. მათი ავტორები არიან გაზეთის რიგითი მკითხველები — საკოლმეურნეო მინდვრებისა და ფაბრიკა-ქარხნების ადამიანები, სტუდენტები, მოსწავლეები. ისინი მთელი გულით, ალალი გრძნობით უმღერიან ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, სოციალისტური ცხოვრების შემოქმედთ — ვ. ი. ლენინს, კომუნისტურ პარტიას, მის ერთგულ თანაშემწეს — კომკავშირს, უმღერიან სამშობლოს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ლექსებს გაზეთის მკითხველთა პოეტური შემოქმედებიდან, — მათი თემაა სამშობლო, ლენინი, პარტია, კომკავშირის სასახელო შრომა.

გაზეთი თავის ფურცლებზე მომავალშიც სიამოვნებით დაუთმობს ადგილს მკითხველთა მხატვრულ შემოქმედებას — ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს, ნარკვევებს, რომლებიც მიძღვნილია სამშობლოსადმი, ლენინისადმი, პარტიისადმი, კომკავშირული ახალგაზრდობისადმი.

ველით თქვენს ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს, ნარკვევებს, ძვირფასო მკითხველებო!

გეწერფილი საქმიდებელი

გმირი პარტია

გმირი პარტია მიგიძღვის,
ბრძენი სარდალი,
კომუნიზმისკენ დაიძრა
შრომის ლაშქარი.
გულნათელო, სხივნათელო,
ჩაუქრობელო,
შენ გეტრფი და შენ გიმღერი,
მიწავ მშობელო.

ვ. ხუციურაული,
დუშეთის რაიონი.

ჩემო სამშობლო

აყვავდი, ჩემო სამშობლო,
ფართოდ გაშალე მხრებიო,
შენ დაბადრე ყოველი,
მშრომელი, მიწის მხვნელიო!
ოქტომბრის დროშა დაგნათის
ორმოცდაათი წლისაო,
სულ კაშკაშებდეს გზა ხალხის
კომუნიზმისკენ სულისაო.

ტ. ბერიკაშვილი,
ქ. თბილისი.

დიდება მის მზეს

დიდება მის მზეს, მის ჩაუმქრალ
სხივთა მადრეკნებს,
მის ახოთა ჯავარს — გულს
რომ არის
ნექტრად რჩენილი,
ის უკვდავია და ცხოვრებას
თვალყურს ადევნებს,
კომუნიზმისკენ გზას გვინათებს
ბრძენი ლენინი.

რ. კორტავა,
ხობის რაიონი.

ლენინს

შენ გაღაფანტე ფუვდიადი,
ეს მზე რომ ამოგეყვანა...
შენი აზრებით დიადით
ზეიმობს ჩემი ქვეყანა.

ა. სამხარაძე,
ჭიათურა, სოფ. რგანი.

მამა ხარ

ლენინის გმირო პარტიავ,
მამა ხარ ჩვენი, მშობელი,
შენ დაგვიმკვიდრე ნათელი,
მარადიამს ჩაუქრობელი.
შენით გამთბარა ქვეყანა
და მდელო აყვავებულა;
ვაშენებთ სოფლებს, ქალაქებს,
სიცოცხლე გალაღებულა.

შ. დარასაველიძე,
აბაშის რაიონი.

საშვილიშვილოდ

გვიშენებია და ქვა კედლებში
ბგურისათვის გვიშველებია,
შეუმუსგრელი ციხე-კოშკები
ქვეყნის ბურჯებად გვიშენებია,
არცა ვის ახსოვს ჩვენი ღალატი,
ახლა ენგურმაც უნდა გვისმინოს...
ახალგაზრდული ჩვენი წესია
ვაშენოთ მხოლოდ საშვილიშვილოდ!

გ. ლომიძე,
ქ. ზუგდიდი.

კომკავშირული

ლენინმა მოგვცა ზღვა
სიხარული,
მისი ანდერძი გულში ანთია
და გამარჯვება ახალგაზრდული
შენი მადლია, ჩვენო პარტიავ!
შენი საქმისთვის ვართ
დარაზმულნი,
მკერდში ძგერს გული
კომკავშირული,
მშვიდობის დროშით მძლედ
წინ მიმავალთ —
სამშობლომ გვიქოს შრომა
გმირული!

შ. ომანაძე,
ცაგერის რაიონი.

ნაირ-ნაირი

ქიმია კიბოს წინააღმდეგ

რიგა, 7 ოქტომბერი. (საკლესის კორ). დღეს აქ გაიხსნა ავთვისებიან სიმსივნეთა ქიმიოთერაპიისადმი მიძღვნილი პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ ამ კონფერენციის 500 მონაწილეს შორის არიან ონკოლოგიის, ორგანული სინთეზის, ბიოქიმიისა და ჰისტოლოგიის დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები. მეცნიერებთან ერთად ლატვიის დედაქალაქში შეიკრიბნენ აგრეთვე პრაქტიკოსი ექიმები, რომლებიც წარმოადგენენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებს. ხუთი დღის მანძილზე პლენარულ სხდომებზე და სექციებში მოისმენენ 300-ზე მეტ მოხსენებას, რომლებიც შეიცავენ კიბოს დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის ერთ-ერთ ძირითადი მეთოდის განვითარებაში საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა აღწერას.

„კლაიპედა“ კოლმეურნეებთან

ბათუმი. (საკ. კორ.). „კლაიპედას“ მეზღვაურებს მუდამ მიუხარიათ ახალშენელ კოლმეურნეებთან. იქ მათ ისე გულმხურვალედ ეგებებიან, როგორც მონატრებულ ოჯახის წევრებს.

ამ მეგობრობას რამდენიმე წელია, რაც საფუძველი ჩაეყარა. ახალშენებლებმა სტუმართმოყვარულად მიიღეს მეზღვაურები. თავის მხრივ, არც „კლაიპედელები“ დარჩნენ ვალში. კოლმეურნეობის აქტიური მშრომელები უფასოდ რამდენჯერმე ჩაიყვანეს ოდესამდე, ასიამოვნეს საზღვაო მოგზაურობით.

შორეული რეისები გამრავლდა. „კლაიპედელებს“ კარგახანია არ ენახათ ახალშენელები, და აი ამ დღეებში მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. აქ იყვნენ გემის კაპიტანი ვ. ანდრეენკოები, კაპიტნის პირველი თანაშემწე ა. ანთიძე და სხვები. ახალშენელები სახსენელო სამეურნეო მაჩვენებლებით შეხვდნენ სტუმრებს. საუკეთესო შრომითი ნობათები მჭონდათ „კლაიპედელებსაც“.

მეგობრული შეხვედრა საზეიმო ვითარებაში გადაზარდა.

— მართალია, მეზღვაურები და კოლმეურნეები სხვადასხვა უბანს ვემსახურებით, — თქვა გემის კაპიტანმა ვ. ანდრეენკოვმა, — მაგრამ მისწრაფება საერთო გვაქვს — უკეთ ვიშრომოთ, გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები. „კლაიპედას“ ეკიპაჟი ასეთი გადაწყვეტილებით გიწვევთ, ძვირფასო ახალშენელო მეგობრებო. საპასუხო სიტყვით გამოიდა პარტიის ბათუმის რაიკომის მეორე მდივანი ნ. ბაბაკაძე.

სტუმრებმა თბომავალზე საპასუხო ვიზიტით მიიწვიეს ახალშენელები.

აზალი თანამგზავრი „მოლნია-1“

1968 წლის 5 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს „კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“.

კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ გათვალისწინებულია მორეული სატელევიზიო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის უწრუნველყოფისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სატელევიზიო პროგრამების გადასაცემად „ორბიტის“ ქსელის იმ პუნქტებში, რომლებიც მდებარეობენ უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის [illegible] მოსახლეობის [illegible] ის რაიონებში.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალ [illegible] ელიფსურ ორბიტაზე, რომლის [illegible] უდრის 39.600 კილომეტრს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა — 490 კილომეტრს სამხრეთ ნახევარსფეროში.

თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 52 წუთი, ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

თანამგზავრზე, გარდა აპარატურისა, რომელიც გადასცემს ტელევიზიის პროგრამებს და ასორციელებს შორეულ [illegible] [illegible] [illegible]